ქართველი ეკონომისტების გამოკვლევებმა მიიპყრო უცხოელი გამომცემლების ყურადღება



ამის დასტურია 2011 წლის ბოლოს ნიუიორკში გამოცემული სამეცნიერო სტატიების კრებული მიძღვნილი კავკასიის რეგიონის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების შესწავლისადმი[1]. ქართველი ეკონომისტებიდან კრებულში, შერჩევის წესით, მოხვდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ვლადიმერ პაპავას ნაშრომი – „საქართველოს ვარდების რევოლუციის ანატომიური პათოლოგია“ და ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ როზეტა ასათიანის ნაშრომი – „კავკასია და საქართველოს ეკონომიკა: წარსული, აწმყო, მომავალი“.

დღეს მსოფლიოში, საქართველოსადმი ესოდენ გაზრდილი ინტერესის პირობებში, დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკის მეცნიერულ ანალიზს (მისი წინა პერიოდის ლოგიკური შეფასებისა და მოსალოდნელი შედეგების ჩათვლით). ინგლისურენოვან საზოგადოებას, რომელიც მწირე ინფორმაციას ფლობს ჩვენი ქვეყნის შესახებ, აინტერესებს დამოუკიდებელ საქართველოში მიმდინარე მოვლენები, მომხდარი არსებითი ძვრები, მიღწეული წარმატებები თუ ჩავარდნები. ქართველ ავტორთა დასახელებული ნაშრომები, რომლებიც სხვადასხვა კუთხით ასახავს ქვეყნის ეკონომიკაში ცვლილებების ტენდენციებს, მკითხველს უქმნის ნათელ წარმოდგენას იმის შესახებ თუ რა რთული გზა განვლო საქართველომ, რა მდგომარეობაშია ამჟამად, რა გამოწვევების წინაშე დგას და რა მიმართულებით უნდა განვითარდეს.

ჟურნალ „სოციალური ეკონომიკის“ რედაქცია მიესალმება აშშ-ში გამოცემულ აქტუალური პრობლემისადმი მიძღვნილ ზემოაღნიშნულ წიგნში საქართველოს ეკონომიკური საკითხების საინტერესოდ და სათანადო მეცნიერული სიღრმით გაშუქებას, კმაყოფილებას გამოხატავს იმასთან დაკავშირებით, რომ ქართველ ეკონომისტთა ნაშრომები სულ უფრო მეტად ხვდება მსოფლიო სამეცნიერო წრეებში, შემდგომ წარმატებებს უსურვებს იმ მეცნიერ-ეკონომისტებს, რომლებიც მაღალი პასუხისმგებლობითა და სამშობლოსადმი დიდი სიყვარულით ეკიდებიან ესოდენ ეროვნულ საქმეს.

დიდი მადლობა ცნობილ ქართველ მეცნიერს ბატონ ვლადიმერ პაპავასა და ქალბატონ როზეტა ასათიანს.

[1] The Caucasus Region: Economic and Political Developments. Editor Bradley C. Ryan. New York, Nova Science Publishers, Inc, 2011.